ოქმი:**ო02.37221521**

თარიღი:**01/06/2022**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. მახარაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, ალ. ღლონტი, ნ. ქარჩავა, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ვრცლად დადგენილების პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მათ შორის 1.9 მილიონი ლარის ნაშთზეც. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, კომისიის წვრებს გააცნო ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრები, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების ნაწილში, უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მათ შორის კურორტ გომისმთის გზის მშენებლობისა და განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენის თაობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და ცნობად მირების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე- N1 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N2 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი